საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი შავლიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი: 27.05.2021 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზაზა ხარებავა

გიორგი შავლიაშვილის შეფასების ფორმა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის გიორგი შავლიაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: ,,საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით, 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;
დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება
კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>დასაბუთება</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3">უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ საჯარო გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციას.

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ იგი, პატიოსანი მოსამართლე და მოქალაქეა, არის კეთილსინდისიერი და გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეა. კანდიდატი გამჭვირვალედ, კეთილსინდისიერად და ჯეროვანი სიზუსტით ასრულებს თავის სამოქალაქო ფინანსურ ვალდებულებებს, რაც დასტურდება მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას, კერძოდ: გიორგი შავლიაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. მოძიებული მასალით ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის რამდენიმე ფაქტი, თუმცა კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი დადგენილი ჯარიმები.
კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატი ხასიათდება კეთილსინდისიერებით, ადამიანური ბუნებით, თანადგომით, მაღალი იურიდიული და ეთიკური სტანდარტით.
მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

		2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა: გასაუბრების პროცესში კანდიდატმა მის მიმართ დასმული ყოველი საკითხი განიხილა ობიექტური და დამოუკიდებელი მსჯელობით, შესაბამისი ანალიზისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით. ასევე რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა სამართლიანობით, დამოუკიდებლობით, მიუკერძოებლობით. ის ხელმძღვანელობს პრობლემის სამართლიანი, არაწინააღმდეგობრივი გადაწყვეტის პრინციპით. გიორგი შავლიაშვილის შესახებ მოძიებული და მის მიერ გაცხადებული ინფორმაციით, იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, ან მხარდამჭერი და შემომწირველი, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ირკვევა, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად, არის პრინციპული, შეუვალი. იკვეთება, რომ იგი თავისუფალია პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით მიკერძოებისაგან და სხვა სახის დისკრიმინაციული მიდგომებისაგან, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და იყოს ზეგავლენის მიმართ მედეგი. მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:** გასაუბრების პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკას, არის კორექტული კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი ყოველთვის იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, უფრთხილდება სასამართლოს იმიჯს და ავტორიტეტს. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ გიორგი შავლიაშვილის მიმართ

		დისციპლინური, ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. ვლინდება, რომ მას შესწევს თავისი ემოციების მართვის უნარი და მისი ქცევა შესაბამისობაშია მოსამართლის მაღალ წოდებასთან. მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:** კანდიდატის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს შრომისმოყვარე, სამართლიანი, მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე პიროვნებისა და მოსამართლის სახელით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი პიროვნულ, სასწავლო-საუნივერსიტეტო და პროფესიულ წრეებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს არ აღნიშნავენ. გიორგი შავლიაშვილის შესახებ საინფორმაციო არხებით ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი საქმიანობის, ანაზღაურების, განხილული საქმეების შესახებ. ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია „აიკონია კაპიტალთან" დაკავშირებით ბრალდებებზე. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალურ ქსელებით (ფეისბუქი-დახურული). აღსანიშნავია, რომ კანდიდატის დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნების მიმართ ჩამოყალიბებული აზრის საწინააღმდეგო რაიმე დადასტურებული ფაქტი, ან დადგენილი გარემოება არ გამოვლენილა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

			5. ფინანსური ვალდებულება: კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის შემოსავლების, მის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ არ არსებობს საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. ამდენად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებული მასალებში არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**დასაბუთება**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**17**	**20**	კანდიდატის სამართლის ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე

			უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით და მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობით. კანდიდატმა წარმადგინა მის მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული სასამართლოს სამი განაჩენი და ორი განსხვავებული აზრი. განაჩენები წარმოადგინა შემდეგ საქმეებზე: საქმე №262ა3-17; 13.10.2017წ; საქმე №110ა3-19; 01.08.2019წ; საქმე №346ა3-19; 01.11.2019წ. საჯარო მოსმენისას გიორგი შავლიაშვილმა სამართლის ნორმების სათანადოდ მაღალი ცოდნის დონე გამოავლინა. კანდიდატმა ვრცლად და სიღრმისეულად ისაუბრა მისი სპეციალიზაციის სფეროდან გამომდინარე საკითხებზე. კერძოდ, ისაუბრა ინკვიზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის მახასიათებლებზე და მათ მნიშვნელობაზე სისხლის სამართალში. ასევე ისაუბრა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის როლზე და აღნიშნა, რომ მის ამოქმედებაში მცირედი წვლილი თავადაც მიუძღვის. აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია დღეს მოქმედი ხისტი შეჯიბრებითობის პრინციპი, მისი მოსაზრებით აღნიშნულ პროცესში დაზარალებულსაც სათანადო ადგილი უკავია. ასევე განმარტა სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპები, ისაუბრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ და სხვა. თუმცა, კანდიდატის პასუხი რამდენიმე სისხლისსამართლებრივ საკითხზე არ იყო სრულყოფილად ამომწურავი, მაგალითად: გაუჭირდა მართლზომიერი და საპატიებელი რისკების, აგრეთვე რეკეტსა და არაერთგზის გამოძალვას შორის სხვაობების გამიჯვნა და სხვა. შედეგად, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების მაღალი უნარი. გიორგი შავლიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. კანდიდატი ამჟამად არის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი რეგულარულად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და იყენებს მათ თავის საქმიანობაში. კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე წარმოდგენილი გადაწყვეტილებების (ასევე წერილობითი განსხვავებული აზრის) გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა,

			რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და თანმიმდევრულად განმარტებული, სათანადო არგუმენტაციაზე დაფუძნებით. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლის ნორმების ცოდნის" კრიტერიუმში გიორგი შავლიაშვილი უნდა შეფასდეს 17 (ჩვიდმეტი). ქულით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების ანალიზით და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებებით. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს გადაწყვეტილებებში მსჯელობა სამართლებრივად სწორად და ლოგიკური დასაბუთებით არის განვითარებული. მათი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ მათში დასაბუთების ხარისხი უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების სათანადო დაცვას. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა იყო ძირითადად დამაჯერებელი და არგუმენტირებული. ვთვლი, რომ კანდიდატი მეტწილად ავლენს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტისა და მართებული დასაბუთების უნარს. კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება: 2005 წლის 20 ივნისს დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ; - 2005 წლის 5 ივლისს დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ; - 2005 წლის 5 ივლისს დაეკისრა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება; - 2006 წლის 9 ივნისს დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ; - 2010 წლის 18 ივნისიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე; - 2010 წლის 21 ივნისიდან საქართველოს

			უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე; - 2019 წლის 18 აპრილიდან არჩეულია სადისციპლინო პალატის თავმჯდომარედ; - არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის წევრი. - 2006 წლის 6 თებერვალს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად; - 2007 წლის 31 ივლისს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად; - 2011 წლის 31 ივლისს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად; ათი წლის განმავლობაში არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე. შესაბამისად კანდიდატს გააჩნია ხანგრძლივი პროფესიული და სამოსამართლო გამოცდილება. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის" კრიტერიუმში გიორგი შავლიაშვილი უნდა შეფასდეს 19 (ცხრამეტი) ქულით.
წერის უნარი	**18**	**20**	კანდიდატის წერის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და წერილობითი მასალის გაცნობით, ასევე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით და შედეგად ვასკვნი, რომ წერისასა გიორგი შავლიაშვილი აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. გადაწყვეტილებებში და წარმოდგენილ წერილობით მასალაში სრულყოფილად ავითარებს მსჯელობას და ასაბუთებს მიღებულ დასკვნებს. აქვს ადვილად აღსაქმელი, ჩამოყალიბებული აზრის გადმოცემისა და დამაჯერებელი წერის მანერა. რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ კანდიდატი წერისას აზრს დამაჯერებლად და ლოგიკურად გადმოსცემს. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3

			მუხლის მეორე პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,წერის უნარის" კრიტერიუმში გიორგი შავლიაშვილი უნდა შეფასდეს 18 (თვრამეტი) ქულით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე საჯარო მოსმენის დროს კანდიდატზე დაკვირვებით, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. კანდიდატმა გასაუბრებისას გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, გამართულად, მშვიდად და აზრს გადმოსცემს გასაგებად, ნათლად. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და მიმღებლობა. რეკომენდატორების მითითებით კანდიდს აქვს აზრის გაანალიზების კარგი უნარი და შეუძლია მისი ვერბალურად კარგად გადმოცემა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" კრიტერიუმში გიორგი შავლიაშვილი უნდა შეფასდეს 15 (თხუთმეტი) ქულით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატის პროფესიული თვისებებისა და მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებით. ამ მონაცემების, ასევე საჯარო მოსმენისას მიღებული ინფორმაციის გაცნობისა და ანალიზის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ რომ გიორგი შავლიაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე,

			გულმოდგინე და მიზანდასახული. აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი. მას ასევე შესწევს სასამართლო სხდომებს სათანადოდ წარმართვის, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ კანდიდატს შეუძლია სტრესულ გარემოში მუშაობა და ამის ნათელ მაგალითად მოჰყავს შემთხვევა, როცა მოსამართლე მარტო მოღვაწეობდა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და შესანიშნავად ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას. აღნიშნულია მისი ისეთი თვისებები, როგორიცაა თავმდაბლობა, თავაზიანობა და მხარეებთან დამოკიდებულებისას მისი მაღალი სტანდარტის შესაფერისი ქცევა. წარმოდგენილი სტატისტიკური დოკუმენტაციით ვლინდება, რომ კანდიდატის მიერ განხილული საქმეები მომზადებულია ძირითადად ჯეროვნად: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გიორგი შავლიაშვილს საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადების დაცვით განხილული აქვს საქმეთა - 96.5%, ხოლო ვადის დარღვევით 3,5%. ამავე პერიოდში, საქმეთა 61,2%-ში გადაწყვეტილება მომზადდა ვადის დაცვით, ხოლო ვადის დარღვევით 38,8%. დგინდება, რომ გ.შავლიაშვილის წარმოებაში არსებულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 947, საიდანაც 825 ცნობილ იქნა დაუშვებლად, 11 დატოვებული იქნა განუხილველად, 19 დატოვებული იქნა უცვლელად, 14 გაუქმდა, 76 -შეიცვალა, 1-შეწყდა, 1-დაბრუნდა ხელახლა განსახილველად. ასევე გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ წარმოებაში მიიღო 80 სხვა კატეგორიის საჩივარი, აგრეთვე განიხილა 114 საჩივარი - ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო; მოსამართლეს 953 დღეში დასრულებული აქვს 1141 საქმე (დღეში საშუალოდ 1,2 საქმე). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში კანდიდატი მარტო, მხოლოდ თვითონ (სხვა წევრის არარსებობის გამო) ახორციელებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის მოსამართლის უფლებამოსილებას. აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატს მეტწილად გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, პროდუქტიულობა, საქმის მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების ვადებში მომზადებისათვის შესაბამისი მენეჯერული თვისებები.

			ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3-მუხლის მეორე პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში“ კრიტერიუმში გიორგი შავლიაშვილი უნდა შეფასდეს 14 (თოთხმეტი) ქულით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**	აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული წვრთნის მიმართულებით გამართულ მრავალრიცხოვან ღონისძიებაში, უმეტესწილად საზღვარგარეთის ქვეყნებში. წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პროფესიულ საქმიანობაში რეალიზების შესაძლებლობა, რაც დასტურდება მის მიერ განხილულ საქმეებზე წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობისა და ანალიზის შედეგად. გიორგი შავლიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის“ კრიტერიუმში გიორგი შავლიაშვილი უნდა შეფასდეს 4 (ოთხი) ქულით.
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**	პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას

			ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესზე მასზე დაკვირვებით. კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აღნიშნული სემინარები და ტრენინგები შეეხებოდა შემდეგ თემებს: ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა - GIZ; 2010წ. დუბროვნიკი, ხორვატია; სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში - GIZ; 2011წ. დრეზდენი, გერმანია; მოსამართლეთა შერჩევის პროცესი - USAID; 2012წ. ლვოვი, უკრაინა; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია - წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი; 2014წ.; სარაევო, ბოსნია ჰერცოგოვინა; შვედეთის სასამართლოებში ევროპული კონვენციის გამოყენებისა და სასამართლო ადმინისტრირების საკითხები - შვედეთის ეროვნული სასამართლოების ადმინისტრაცია 2015წ სტოქჰოლმი, შვედეთი; სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან - GIZ; 2016წ. ჰამბურგი, გერმანია და ა.შ. გ.შავლიაშვილი 2011 წლიდან არის ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. კურსები: პრაქტიკული კურსი სისხლის სამართლის პროცესში; საკასაციო განხილვის თავისებურებანი სისხლის სამართალში; 2015-2016 წლებში კანდიდატი იყო გ.თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. კურსი - სასამართლო პროცესის ორგანიზაცია; 2015-2018 წლებში კანდიდატი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოწვეული ლექტორი. თემები: ტრეფიკინგი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები (სისხლის სამართალი); 2019 წლიდან-დღემდე კანდიდატი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვეული ტრენერი. თემები: ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები (სისხლის სამართალი). აღნიშნულის შეჯერების შედეგად დასტურდება, რომ კანდიდატს გააჩნია საკუთარი წინადადებების, პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვის უნარები. კანდიდატის მიერ რაიმე სამეცნიერო, ან სხვა სახის საჯარო პუბლიკაცია წარმოდგენილი არ ყოფილა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი აკმაყოფილებს

			,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის“ კრიტერიუმში გიორგი შავლიაშვილი უნდა შეფასდეს 4 (ოთხი) ქულით.
ქულათა ჯამი	**91**	**100**	

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი : 27.05.2021 წ.